ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 8-12/14115534-16 10 06 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ხევძმარისა და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთასთან (საკ. კოდი №01.11.12.018.020) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (გაზგასამართი სადგური) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1066494 31.12.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ხევძმარისა და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთასთან (საკ. კოდი №01.11.12.018.020) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

№1 ოფისი:
ფასადი 10-17 ღერძებში: შეცვლილია მიწის დონე და შენობის ძირში ორი კარის ქვეშ დამატებულია საფეხურები. გაზრდილია ფანჯრების და ორი კარის გაბარიტი. შეცვლილია პარაპეტზე მოწყობილი სარეკლამო წარწერების ადგილმდებარეობა. ვიტრაჟზე დამატებულია ბადესტიკერი.
ფასადი 17-10 ღერძებში: 16-14 მონაკვეთში დამატებულია ფრამუგა, 13-11 მონაკვეთში შემცირებულია ფრამუგებს შორის მანძილი და გაზრდილია მათი გაბარიტი. დამატებულია ორი კონდიციონერი და ერთი გამწოვი მილი.

№2 სან.კვანძი, №3 მოსაცდელი:
ფასადი გ2-გ ღერძებში: შეცვლილია სარეკლამო წარწერა და ჰორიზონტალური ხაზი.
ფასადი გ-გ2 ღერძებში: შეცვლილია ორი ფრამუგის გაბარიტი. გ1-გ1 ღერძზე გაუქმებულია პარაპეტი. დამატებულია ორი წყლის მილი.
+2.40 ნიშნულზე პარაპეტის მოპირკეთება აწეულია ზევით.

№4 საკომპრესორო №5ელ.ფარი:
პარაპეტზე შეცვლილია სარეკლამო წარწერა და დამატებულია ჰორიზონტალური ხაზი. 3-2 მონაკვეთში კედელი შელესვა შეღებვის ნაცვლად მოპირკეთებულია ალკაბონდით.
ფასადი 9-1 ღერძებში: 3-3 ღერძთან დამატებულია მოპირკეთების ხაზი.
ფასადი 1-9 ღერძებში: 3-6 მონაკვეთში კედლის ნაწილი შესალესია, ხოლო +2.5 ნიშნულის მაღლა შესაღები. 6-8 მონაკვეთში კედლის ფრაგმენტი არ არის მოპირკეთებული ალკაბონდით.
შენობის გარეთ რ-ჟ და 3-5 მონაკვეთში დამატებულია ლითონის კონსტრუქცია, ბაქანი ფართით 6.5 მ² და განთავსებულია დანადგარები. შენობის შიგნით არ არის ნაჩვენები დანადგარები. სახურავზე დამატებულია გამწოვი მილი.
№6 სატრანსფორმატორო:
გენ.გეგმაზე ნაჩვენებ ტრანსფორმატორისთვის განკუთვნილ ადგილს მონაცვლებული აქვს ადგილი. შემცირებულია ტრანსფორმატორის და ბაქნის გაბარიტები, ასევე შეცვლილია კარების გაღება.
№7 მეხამრიდი:
მეხამრიდს მონაცვლებული აქვს ადგილი, ხოლო მეორე არ არის მოწყობილი.
№8 გაზ გასამართი ფარადული:
ფასადი 1ა-19ა ღერძებში: კედელზე დამატებულია სარეკლამო ბანერი.

გაზრდილია ფარდულის საყრდენი ბოძების კუნძულებს შორის მანძილი და გაზრდილია მათი გაბარიტი. გაზდილია ფარდულის გადახურვის სიმაღლე. შემცირებულია ფარდულის განათების რაოდენობა.

№10 სახანძრო გიდრანტი: სახანძრო გიდრანტს მონაცვლებული აქვს ადგილი.

№11 გარე განათება: შეცვლილია განათების ბოძების ადგილმდებარეობა, რაოდენობა და გაბარიტი.

შეცვლილია ტერიტორიის მოპირკეთება, არ არის მოწყობილი გამწვანება. შეცვლილია გაზის და წყლის მილების არხის მოწყობა. 18-19 მონაკვეთში არ არის მოწყობილი დაბალი კედელი. ზოგიერთ ადგილას შეცვლილია რ.კ.ბეტონის საყრდენი კედლის სიმაღლე. საკომპრესოროს წინ დამატებულია ტექნიკური დანადგარი.

ჭრილის ნახაზებზე არ არის ნაჩვენები სახურავის ქვეშ მოწყობილი ლითონის და ხის დეტალები.

ფასადებზე ნაჩვენები რ.კ.ბეტონის საყრდენი კედლების შელესვა შეღებვა არ არის შესრულებული.

შეცვლილია სათავსოების გადახურვის მასალა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ჰ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „Gogas გოუგაზი"-ს, გოგი ბოლქვაძეს, ქ. თბილისში, ხევძმარისა და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთასთან (საკ. კოდი №01.11.12.018.020) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (გაზგასამართი სადგური) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14115534-16 25.04.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი